ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული
ANNUAL OF KUTAISI SCIENTIFIC LIBRARY

VII 2015

ლაკი ჯაჯანიძე
ლუიზა სეჯაჯაშვილი
ნანა სეჯაჯაშვილი

სამეურნეო ტრადიციები და რწმენა-წარმოდგენები სამეგრელოში გუშინ და დღეს (ეთნოლინგვისტური ასპექტი)

სამეურნეო საქმიანობა და მასთან დაკავშირებული წეს–ჩვეულებები და რწმენა-წარმოდგენები მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ადამიანთა მატერიალურ ყოფას. დაგვაინტერესა, თუ რა გავლენა მოახდინა ბოლო წლებში სწრაფმა ტექნოლოგიურმა პროგრესმა სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებულ წეს–ჩვეულებებზე. შევისწავლეთ, როგორც გამოქვეყნებულ სამეცნიერო ლიტერატურაში ფიქსირებული, ასევე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის ფონდის ტექსტები და შევუდარეთ ისინი 2013–2015 წლებში ჩვენ მიერ სამეგრელოში ექსპედიციების დროს მოპოვებულ მასალებს.

ანალიზმა გვაჩვენა, რომ სამეურნეო წეს–ჩვეულებების ნაწილი დღეს უკვე გამქრალია, მცირე ნაწილი კი აგრძელებს არსებობას.

გამქრალია:

1. სამეგრელოში გავრცელებული რწმენა მარცვლეულის დათესვასთან დაკავშირებით ემთხვევა დანარჩენ საქართველოში გავრცელებულ რწმენას. იმერეთში იტყვიან: "ცხრა მარტს ოჯახს ცხრა თავი სათესური დათესილი უნდა ჰქონდესო". მეგრელებიც აუცილებლად დათესავდნენ ცხრა მარტს ანუ **ფერდობა** დღეს ("თედორობას") ერთმანეთში არეულ მარცვლეულ კულტურებს.

2. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით **თედორობა** უფრო ადრე ითვლებოდა ცხენის სალოცავად და იხდიდნენ დიდმარხვის პირველი კვირის სამშაბათ საღამოს; ნ. აბაკელიასთან გვხვდება ფორმა: ***თევდორობა// თერდორობა*** (სამეგრელოში); სვანეთში – **ლითორდი** – ცხენების დღესასწაულად ითვლებოდა. თერდობის რიტუალს ასრულებდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც ცხენები ჰყავდათ; რაჭასა და ლეჩხუმში იგი ნათესების, ვენახისათვის განკუთვნილ დღედ შეიძლება ჩაითვალოს. თევდორობას საქონლისათვის ლოცულობდნენ. ქდსკი და ჩვენ მიერ მოძიებული მასალების მიხედვით ეს დღესასწაული სამეგრელოში თესვას უკავშირდება, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო 90-იან წლებში, დღეს კი აღარ გვხვდება, გარდა იმისა, რომ ეკლესია თესლს აკურთხებს და მორწმუნეებს მოუწოდებს მიიტანონ მარცვლეული ეკლესიაში და შემდეგ გაიტანონ დასათესად (რ. ხაჭაპურიძე, 2006).

3. უხვი მოსავლისთვის არ იმუშავებდნენ მიწაზე შაბათ დღეს. ივლისის თვის შაბათ დღეს სამეგრელოში ზეიმობდნენ **ნაფრას**, ანუ "ნაფურახას". ნაფურნახა/ე (ნაფურნახა/ე-ს) ი. ყიფშიძეს რომელიღაც ღმერთის (ღვთაების)

სახელად მიაჩნია; ამ აზრს იზიარებს ს. მაკალათია, ოღონდ იგი ნაფურნახეს ქალღმერთად მოიაზრებს (ო. ქაჯაია, 2002).

4. სამეგრელოში არსებობდა მიწის "გაპატივებასთან" დაკავშირებული წეს-ჩვეულება. მიწის ხელოვნურად განოყიერების დროს ილოცებოდნენ და ამბობდნენ: "ბევრი პარკი მოიბას, ჯვარი ამ ყანასო". ამბობდნენ და სწამდათ, რომ "იქნებოდა ღვთის წყალობა და მიწას მიბარებული თესლი ხვავიან მოსავალს მისცემდათ". იგივე რიტუალი, ქდსკი მასალების მიხედვით, დასტურდებოდა იმერეთში, სადაც ვენახის გაპატივებისას ასე ლოცულობდნენ: "სხვის ეზოში კუმპლა-კუმპლა, ჩვენს ეზოში მტევნა-მტევნა" (ქდსკი, ფონდი E, მთქმელი, ლ. მარდალეიშვილი).

5. სამეგრელოში ორშაბათი დღისადმი სალოცავიც იცოდნენ და მას **თუთაშხური "საორშაბათო" ან თუთაშხა ბედნიერი** ერქვა. სავალდებულო სარიტუალო საჭმელი იყო "ხოზო კვარი". დიასახლისი სიმინდის ფქვილის ცომისაგან აკეთებდა მზისა და მთვარის ფორმის კვერს. ოჯახის ყველა წევრზე სამ-სამ კვერს გააკეთებდნენ. რამდენიმე კვერში თხილის პატარა წკირს ჩაამაგრებდნენ და ვისაც იგი შეხვდებოდა ბედნიერი იყო. მას მომავალში აღსანიშნი, სხვისთვის მისალოცი სუფრა უნდა გაეწყო. რიტუალის შესრულების დროს "ოთუთაშხურ ქვევრთან" ასე დაილოცავდნენ: "თუთაშხა ბედნიერი, ქიანაში ჯღვერი, სი ქომუჩია, ხვე დო ბარაქა მონწიაში, საქონელიში" (ორშაბათო ბედნიერო, ქვეყნის წინამძღოლო, შენ მომეცი ხვავი და ბარაქა მოსავლისა, საქონლისა"). ლოცვაშესრულებული მამაკაცები ვიდრე მათ კარს გაუღებდნენ, მიწის ბელტებს კედელს მიარტყამდნენ და იტყოდნენ: "მშვიდობა და ბედნიერება მომაქვს. თუთაშხა ბედნიერო, ასე გაამრავლე ჩვენს ოჯახში ადამიანი და საქონელი"; ხოზო კვერის ქვაბიდან ამოღების დროს ქალი დაილოცებოდა: ბჟა დო თუთა, მუჭო მა ვადამრკებუნ, თეშ ჩქიმ ოჯახის წევრეფს ვემიარკა სიკეთე დო ბედნიერება (მზე და მთვარევ, როგორც მე არ დაგაკელი, ისე ჩემი ოჯახის წევრებს არ მოაკლო სიკეთე და ბედნიერება) (მთხრობელი შაქრო ნარმანია, 2007).

6. საინტერესოა წვიმის გამოწვევის რიტუალი. დიდი გვალვის დროს ქალები აკეთებდნენ ქალის წყალში დახრჩობის იმიტაციას. გააკეთებდნენ **ძიძავას**. ჯოხს ძველებს (საფრთხობელას ანალოგიური) ჩააცმევდნენ და ბავშვებთან ერთად კივილით გაიქცეოდნენ მდინარისკენ. **ძიძავას** წყალში გადაუშვებდნენ და კიოდნენ, სწამდათ, რომ "ზღვაში კაცი დაიხრჩო და ვიდრე არ გამორიყავს, მანამ იწვიმებსო"; "გვალვის დროს ბაყაყს მოკლავდნენ და მუცელზე გადააბრუნებდნენ. ამით ცას განარისხებდნენ და წვიმას იწვევდნენ". ირაკლი სურგულაძეს დადასტურებული აქვს სამეგრელოში წვიმის გამოწვევის წესი, რომლის თანახმადაც წვიმის გამომწვევი[1] ძირითადი ღონისძიება იყო სათემო ლოცვა. მასში მონაწილეობდნენ წინასწარმომზადებული დასუფთავებულ-ნაბანავები, სპეციალურად, კარგად ჩაცმული ქალები და ბავშვებიც. ცერემონიალს ასრულებდნენ მამაკაცები უხუცესი მამაკაცის თაოსნობით, ეკლესიაში, ნაეკლესიარ ადგილას, ან სოფლის გარეთ მინდორში. უხუცესი შეაგროვებდა მონაწილეთაგან სანთლებს, ერთად შეკრავდა, მოუკიდებდა, სამსხვერპლო ცხოველს ბეჭებს

---

1 ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოში გავრცელებული მსგავსი რიტუალის შესახებ წერდა: "პატივანს ქვეით, ვაკეს არს ლოდი, რომელი გვალვისას თუ გადააბრუნო და შენამო, მოვალს წვიმა, ხოლო წვიმიანობასა შინა თუ შეაყარო ნაცარი და გადააბრუნო, იქნების უწვიმობა".

მოუტრუსავდა და აღმოსავლეთისკენ პირშექცეულს დაკლავდა. თუ რიტუალი მდინარის პირას სრულდებოდა, ცდილობდნენ ისე დაეკლათ, რომ სისხლი წყალს შერეოდა. სამსხვერპლო ხარის ან ვერძის შეწირვისას ილოცებოდნენ: "გევედრებით, რომ ჩვენი ნამუშევარი ცეცხლით არ დაიწვას, ღმერთი მიეხმაროს ანგელოზებს (ამ შემთხვევაში ბავშვებს, უცოდველებს) და მათი სარჩო გადაარჩინოს (ი. სურგულაძე, 2003, გვ. 226). აღნიშნული რიტუალი აღარ აღესრულებოდა არც 90-იან წლებში, თუ არ ჩავთვლით დღესაც შემორჩენილ ჩვევას — ბაყაყის ან ლოკოკინის მოკვლა წვიმას მოიყვანსო.

7. მთიან სამეგრელოში ადგილის ღმერთის სახელზე ოქტომბერში ჩატარებული ლოცვა **გიმათუა** და ზემო რაჭული **კოლოკრობა** ერთი შინაარსისაა. ეთნოგრაფიული მასალით: "ოქტომბერი მოსავლის მოწევის თვეა. რომ ხვავიანი ოქტომბერი გვქონდეს, აღვნიშნავთ "გიმათუას". პ. ჭარაიას და ი. ყიფშიძის განმარტებით, გიმათუთა/გუმათუთა/გგმათუთა ოქტომბერია, მკათათვეა. გიმათუთა<—გიმუა თუთა<—გიმუაში თუთა მკის, ტეხის თვე. ამ თვეში ტეხდნენ, მკიდნენ ღომს. სადარაჯოს გეურეთ გიმათუთაში ნაშიბუს დარაჯად უდგეხართ ოქტომბრის მონაპოვარს (ო. ქაჯაია, 2002). შდრ.: გიმუა/ ggმუა "ღომის თავთავის მოტეხა, მოწყვეტა (მოჭრა)" (ო. ქაჯაია, 2002).

ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მასალების მიხედვით, იმერეთშიც გვხვდებოდა მსგავსი რიტუალი და მას **შემოდგომის საკურთხი** ეწოდებოდა. როცა ხალხი საშემოდგომო საქმეებს მოილევდა და მოსავალს დააბინავებდა, აკეთებდნენ საკურთხს და მადლობას სწირავდნენ მიცვალებულებს დახმარებისთვის, ბარაქისთვის და მომავალში შემწეობას სთხოვდნენ, რადგან კარგი მოსავალი კარგი საკურთხის გაკეთების საშუალება იყო. დღეს აღნიშნული რიტუალი ჩვენ მიერ მოპოვებული ტექსტების მიხედვით თითქმის აღარ გვხვდება.

8. ნერჩიში ხვამა — ადგილის დედისადმი მიძღვნილი რიტუალი დიდ მარხვამდე ოცდახუთი დღით ადრე ოთხშაბათ დღეს ტარდებოდა. მას აღასრულებდა ოჯახის უფროსი ქალი საიდუმლოდ. ეს ლოცვა არ შეიძლებოდა ხის იატაკიან სახლში (ო. ქაჯაია, 2002). დიასახლისი სახლის წინა და უკანა კარზე ანთებული ორი სანთლის ჩაქრობამდე შეჭამდა საგანგებოდ გამომცხვარ ოთხ კვერს და ამის შემდეგ გააღებდნენ კარს. ვახშმისთვის მზადდებოდა ლობიო და პური, რომელსაც ნისორი "გობით" დებდნენ სახლის აღმოსავლეთ კუთხეში. ამის შემდეგ, ოჯახის უფროსი ქალი ახსენებდა, ითხოვდა "ნერჩის/ ფუძის ღვთაებას და სთხოვდა მას მშვიდობასა და მიწის კეთილნაყოფიერებას". რიტუალი არ სრულდებოდა 90-იან წლებშიც.

9. ჟინ ანთარი — მესაქონლეობის ღვთაება (დღეს უკვე აღარავის სწამს), თუ 25 წლის წინ მეტ-ნაკლებად მაინც ასრულებდნენ გადმოცემით დარჩენილ წესებსა და რიტუალებს, დღეს აღარც ეს ხდება. მაგალითად, ადრე "ძროხას წინასწარ დაარქმევენ სახელს, რომ მის მონაგებ მოზვერს შესწირავდნენ ჟინი ანთარის. მოგებიდან ერთი კვირის მერე ამოიყვანენ ყველს, ხონჩაზე დააწყობენ, ძროხასთან მიიტანენ, რქებზე სანთელს აუნთებენ და დაილოცებიან: ჟინ ანთარი ათე ჩხოუს ძუძუ გუჭყანიერი, სი გაბრაი მუდა თუმა მიკოჩაანს თიზმათ ("მაღალო ღმერთო, ამ ძროხას ძუძუ მიეცი ღონიერი, შენ გაამრავლე იმდენად, რამდენი ბალანიც აქვს").

10. ყველიერის წინა ხუთშაბათს სამეგრელოში იხდიდნენ კაპუნობას. მას მსხვერპლად სწირავდნენ სპეციალურად ამ დღისთვის გაზრდილ,

ნასუქ კეშს "დაუკოდავ ღორს", საჯიშე ღორს კერიას სამჯერ შემოატარებდნენ და თან კაპუნიას ეხვეწებოდნენ: "ღმერთო, კაპუნია, მრავალი ასეთი დღე გაგვითენე და ჩვენი ოჯახი აავსე საქონლით, დოვლათით. შემდეგ ღორს კერიაზე დააკლავდნენ. ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ხორცი ეჭამათ: კარგის ნიშანია და კაპუნია გაიხარებსო". სხვათა მსგავსად, ეს რიტუალი, კარგა ხანია, მხოლოდ მოხუცთა მეხსიერებას შემორჩა.

დღესაც აგრძელებს არსებობას:

მთვარესთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობა: მეურნეობასთან დაკავშირებით არსებული წეს-ჩვეულებები ადასტურებენ, რომ უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ მთვარეს: "ვენახს სავსე მთვარეზე ვსხლავთ, ვკრეფთ ყურძენს და სავსე მთვარეზე ვასხამთ ღვინოს; სავსე მთვარეზე ვთესავთ; სამასალე ხე სავსე მთვარეზე (ზოგი მასალით ახალ მთვარეზე) იჭრება დეკემბერში ან იანვარში: იანარ უკუმეიას/"შავ იანვარს"; სავსე მთვარეზე იფშვნება სიმინდი: "ამ დღეს დაფშვნილ სიმიდს მატლი არ დაესევა".

არამსხმოიარე ხილის "დაშინება": მეგრელ მეურნეს სწამს, თუ ხეს შეაშინებ, მოისხამს და გადარჩება მოჭრას. მივიდოდნენ მცენარესთან, დახაზავდნენ დანით და ეტყოდნენ: "თუ არ მოისხამ, გაგახმობ, მოგჭრი"; ანდაც მიიტანდნენ ნაჯახს, შემოარტყამდნენ მსუბუქად, რომ მართლა არ გამხმარიყო და იმავე სიტყვებით დააშინებდნენ: "დიდ ხუთშაბათს ბებია "შურუბუმუო" (უბრალდ) მიმიყვანდა ხესთან, რომელიც უნაყოფო იყო, ხელში დამაკავებინებდა პატარა "**კვალას**" (ნაჯახს). მე ნაჯახს სამჯერ მოვიქნევდი, ხეს დავადებდი და ვიტყოდი: "ვემკიღანქიდა, მორკვათუნქ" (თუ არ მოისხამ, მოგჭრი).

შეიძლება ვთქვათ, რომ ტექნოლოგიების განვითარებამ თავის მხრივ გამოიწვია მისტიკის გაქრობა, როგორც მწერალი გრიგოლ რობაქიძე წერდა: "რაციოს მიერ გაუკუღმართებული ადამიანური ცნობიერება ხილულ ქვეყანას აღიქვამს მხოლოდ მატერიად, მხოლოდ საგანთსამყაროდ, არავითარი მისტიკა, შიშველი ყოფიერება, ეს არის ჩვენი ახალი თაობა" (ჩაკლული სული, წიგნიდან "შერისხულნი", 1990, გვ. 492). გარდა ზემოთქმულისა სოფლის მეურნეობაში ათასგვარი სამკურნალო საშუალებებისა თუ შხამ ქიმიკატების შეტანამ ხელი შეუწყო რწენა-წარმოდგენასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულების გაქრობას, ამასთანავე, მძიმე სოციალურ-ეკონომიურმა პირობებმა, თავის მხრივ, გამოიწვია სამეურნეო ყოფის მოშლა, რამაც განაპირობა სამეურნეო რწმენა-წარმოდგენების ნელი კვდომა და იგი მხოლოდ მეხსიერებას შემორჩა ზღაპრად.

დამოწმებული ლიტერატურა

ნ. აბაკელია, 1991 - ნ. აბაკელია, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 1991.

ნ. აბაკელია, 1999 - ნ. აბაკელია, სამეგრელო: კოლხეთი / ოდიში, თბილისი-ზუგდიდი, 1999.

ვ. ბაგრატიონი, 1941 - ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941.

ს. მაკალათია, 1979 - ს. მაკალათია, მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები სამეგრელოში, კრებ., "სამეგრელო", მასალები სამეგრელოს ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1979.

გრ. რობაქიძე, 1990 - გრ. რობაქიძე, ჩაკლული სული, წიგნიდან "შერისხულნი", თბ., 1990.

ი. სურგულაძე, 2003 - ი. სურგულაძე, მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2003.

ო. ქაჯაია, 2002 - ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002.

ი. ყიფშიძე, 1914 - ი. ყიფშიძე, მეგრული ენის გრამატიკა ტექსტებითა და ლექსიკონით, სანკტ-პეტერბურგი, 1914.

დ. შავიანიძე, 2015 - დ. შავიანიძე, სამეგრელო – ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი, ქუთ., 2015.

პ. ჭარაია, 1997 - პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

რ. ხაჭაპურიძე, 2006 - რ. ხაჭაპურიძე, მაგიურ-რელიგიური მკურნალობის ისტორიიდან, ქუთ., 2006.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ თანამშრომელთა ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, სამაგრელო, 2013-2015.

ქდსკი, ფონდი – აკაკი წერეთლის სახელმწოფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ფონდის მასალები, 1994-2006.

DAVID SHAVIANIDZE, LUIZA KHACHAPURIDZE, RAMAZ KHACHAPURIDZE

AGRICULTURAL TRADITIONS AND BELIEF-REFLECTIONS IN SAMEGRELO YESTERDAY AND TODAY
(according to the newest materials)

Agricultural work and habits and belief-reflections connected to it importantly defined material existence of people. Our interest is the influence of fast technological progress on the habits connected to agricultural life. We studied texts from published scientific literature and fund of Ak. Tsereteli state university Georgian dialectology scientific-research institute and compared them to materials gained during expedition in Samegrelo in the years of 2013-2015.

Analyses showed that the oart of agricultural habits is disappeared today, small mart continues to exist.

Disappeared: ferdoba/Tedtoba/litordi;napra; tutashkhuri; saorshabato; ritual for causin rain; gimatua/kolokroba; ritual dedicated to the queen of the place, jin antari/ kapunoba ...

Existing: agricultural work in relation with the moon; "frightening" of waste fruit tcrees...

It can be said that development of technologies caused disappearance of mystic, also inserting number of curing facilities and chemicals in agriculture supported disappearance of habits in relation with beliefs and reflections, also hard socia condition caused degradation of agricultural life. which determined gradual destruction of agricultural bilief-reflections and it remained in memory in a form of tale.